პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

№ 151 (1165) | ხუთშაბათი, 19 დეკემბერი, 1957 წ. | გამოცემის მე-14 წელი | ფასი 30 კაპ.

ლელობურთის განვითარებას — ფართო გასაქანი

მ იმდინარე წელს მრავალი საინტერესო ღონისძიება ჩატარ- ქართულ ჭიდაობაში. სპორტის ხალხური სახეობის ზონალურ რველობაში რესპუბლიკის ყვე- რაიონის მოჭიდავეები მონაწი- ობდნენ, შემდეგ თბილისში შეი- ბნენ უძლიერესთა შორის უძ- ერესები. ამ დღეებში ჩატარდა პუბლიკის გუნდური პირველო- ხოლო რაც შეეხება ამხანა- რ მატჩებს და სხვა შეჯიბრე- ბს, ვინ მოსთვლის. მიმდინარე ის სეზონით არც ცხენოსნები ებიან ნაწყენი. ჩატარდა სარაი- , რესპუბლიკური შეჯიბრებე- და რაც მთავრია, საქართველოს ენოსნებმა მოსკოვში III სპორ- ლი თამაშების მონაწილეებს აჩ- ნეს ქართული ხალხური სპორტის -ერთი საუკეთესო ნიმუში — ენბურთი.

მაგრამ ხალხური სპორტის სახე- ები ქართული ჭიდაობითა და ენოსნობით ხომ არ ამოიწურება. ქვს კიდევ ერთი, მეტად სა- ტერესო სახეობა, სახელდობრ ლობურთი, რომელიც ხალხური რტის საუნჯეში შემავალ არც თ თამაშს არაფრით არ ჩამოუ- რდება. ჩვენ არ დავიწყებთ აქ ზე ლაპარაკს, თუ რა მდიდარი ტორია აქვს ლელობურთს, თუ გორ ხშირად ვხვდებით უძვე- ს ლიტერატურულ წყაროებში ლობურთის თამაშს.

საქართველოში საბჭოთა ხელი- ულების დამყარებამდე ლელო- რთში თამაში ტარდებოდა ეპი- დურად, სტიქიურად, არ იყო უშავებული რაიმე საერთო წე- საბჭოთა ხელისუფლების პირო- ში სპორტის სხვა ხალხურ სახეობებთან ერთად დაიწყო ლელობურთის შესწავლა, წესების დაზუსტება. იგი შეტანილ იქნა რაიონულ, საქალაქო და რესპუბლიკურ სპორტულ ღონისძიებათა კალენდარში. პირველ ხანებში ეს საქმე კარგად მიდიოდა, მაგრამ შემდეგ იგი რესპუბლიკის მხოლოდ რამდენიმე რაიონს შემორჩა.

როგორც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, თუ ქართულ ჭიდაობაში და ცხენოსნობაში მიმდინარე წელს რამდენიმე შეჯიბრება ჩატარდა, ლელობურთში კი ერთადერთი. ყოველგვარი ნახევარფინალების გარეშე რესპუბლიკური კომიტეტის ბრძანებით პირდაპირ ფინალში დაუშვეს 6 გუნდი. აქედან ორი არ გამოცხადდა და ოთხ გუნდში გათამაშდა საქართველოს ჩემპიონის საპატიო სახელი. ასე იყო შარშანაც, შარშანწინაც, მაგრამ როდემდის?! ერთხელ და სამუდამოდ ხომ უნდა მოეღოს ბოლო ასეთ შეუწყნარებელ მოქმედებას? ჩვენ უფლება არა გვაქვს დავიწყებას მივცეთ ხალხური სპორტის ისეთი სახეობა, რომელიც ხალხს უყვარს და რომელიც ხალხმა საუკუნეებიდან საუკუნეებამდე შემოინახა, დღევანდლამდე მოიტანა.

ჩოხატაურის რაიონში ლელობურთი ფართოდაა დანერგილი. რაიონულ პირველობაზე ორჯერ და სამჯერ მეტი გუნდები მონაწილეობენ ვიდრე რესპუბლიკურზე. სწორედ მასობრიობამ განაპირობა ის ფაქტი, რომ ჩოხატაურის რაიონის ნაკრებმა გუნდმა წელს მერვედ მოიპოვა რესპუბლიკის ჩემპიონობა.

მისასალმებელია ლანჩხუთის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის მესვეურთა ინიციატივაც. ლანჩხუთელებმა მიმდინარე წელს ლელობურთელთა გუნდი ჩამოაყალიბეს, საქმეს სიყვარულით მოკიდეს ხელი და შექმნეს ძლიერი, მზარდი კოლექტივი.

ჩვენ ბრძანებით არავითარ შემთხვევაში არ უნდა შევზღუდოთ ლელობურთის პირველობის მონაწილეთა გუნდების რაოდენობა. პირიქით, საშუალება უნდა მივცეთ რაიონებს გამოიყვანონ გუნდები. რატომ არ უნდა მონაწილეობდეს საქართველოს პირველობაში ზუგდიდის, ქობულეთის, ბათუმის, ფოთის, სამტრედიის გუნდები. ამას გარდა, გათამაშება ერთ ადგილზე კი არ უნდა ეწყობოდეს, არამედ ყველა მონაწილე გუნდის მოედანზე ისე, როგორც ფეხბურთში. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ლელობურთი მარტო დასავლეთ საქართველოს საკუთრება როდია. ჩვენ კარგად გვახსოვს, რომ თავის დროზე გურჯაანსაც ყავდა გუნდი, ლელობურთს თამაშობდნენ ბაკურციხის, მაჩხაანის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებში. მაშასადამე, საჭიროა ეს ტრადიცია აღსდგეს.

რაც მთავარია, ლელობურთში პირველობა მოვალეობის მოხდის მიზნით, სეზონის მიწურულში არ უნდა ტარდებოდეს, არამედ რესპუბლიკური კალენდარის მიხედვით და შეჯიბრებების ყველა აუცილებელი წესების დაცვით. ამას გარდა გუნდები შეჯიბრების წინ რამდენიმე დღით ადრე კი არ უნდა დავაკომპლექტოთ, არამედ ადრევე, რათა მოთამაშეებმა შეძლონ ერთმანეთთან შეთამაშება, კომბინაციების შემუშავება, ტექნიკის დაზუსტება.

იმედი გვაქვს, რომ ლელობურთში მომავალი წლის პირველობა სანიმუშოდ ჩატარდება, მოედნებზე ერთმანეთს შეხვდებიან დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს კარგად გაწვრთნილი გუნდები, რომლებიც მაყურებელს აჩვენებენ ვაჟკაცურ ბრძოლას ლელოს გატანისათვის.

სურათებზე: მარჯვნივ — ჩოხატაურელთა კაპიტანი მინდაძე უკვე მერვედ იბარებს გარდამავალ თასს და რესპუბლიკის ჩემპიონის სიგელს. მარცხნივ — ჩოხატაურისა და ლანჩხუთის ლელობურთელთა თამაშის მომენტი.

ფოტო ი. შაქრიშვილისა

უძლიერეს მაგიდის ჩოგბურთელთა შეჯიბრება

ვილნიუსში რამდენიმე დღის განმავლობაში მიმდინარეობდა ჩვენი ქვეყნის უძლიერეს მაგიდის ჩოგბურთელთა შეჯიბრება. უკანასკნელ დღეს, მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრების უდიდესი ნაწილი უკვე გათამაშდა, მაინც ძნელი იყო იმის თქმა, თუ ვინ გამოვიდოდა ტურნირში პირველ ადგილზე: ვილნიუსელ საუნორისს და ტალინელ მეეკსას ერთნაირი რაოდენობის გამარჯვებები და თითო დამარცხება ჰქონდათ, საუნორისს — პაშკიავიჩუსთან — 1:3 და მეეკსას თვით საუნორისთან — 0:3. მათ „ფეხდაფეხ“ მიყვებოდა გამოცდილი კიშინიოველი გრინბერგი, რომელსაც თუმცა ორი დამარცხება ჰქონდა, მაგრამ ფინალში იყო გასული და საუნორისს უნდა შეხვედროდა. ორივე ლიდერის დამარცხების შემთხვევაში მას პირველი ადგილის რეალური შანსები რჩებოდა. ეს შესაძლებლობა კიდევ უფრო განმტკიცდა მას შემდეგ, რაც მეეკსა უკანასკნელ შეხვედრაში დამარცხდა კაუნასელ ჩაპაიტისთან; ახალგაზრდა კაუნასელმა სპორტსმენმა პირველი პარტიის წაგების შემდეგ დიდი აღმავლობით ჩაატარა შეხვედრის დასკვნითი ნაწილი და დამაჯერებელ უპირატესობას მიაღწია — 3:1. ამასობაში მეორე ლიდერი, რომელიც უბრძოლველად არ აპირებდა პარტიის დათმობას, დაძაბულ ბრძოლას აწარმოებდა გრინბერგთან. თანდათანობით გამოიკვეთა ვილნიუსელი სპორტსმენის ტაქტიკური უპირატესობა, რომელმაც ზედიზედ სამი პარტია მოიგო და ტურნირში გამარჯვებულის წოდებაც მოიპოვა.

ასეთივე დაძაბულობით ხასიათდებოდა ქალთა შეხვედრებიც, იმ განსხვავებით, რომ აქ ყველა შეხვედრის შემდეგაც გამოუვლინებელი დარჩა უძლიერესი. საბჭოთა კავშირის არაერთგზის ჩემპიონი ე. ლესტალი (ტალინი) და ვილნიუსელი მოსწავლე რამანაუსკაიტე დიდხანს თანაბრად ლიდერობდნენ ტურნირს. შემდეგ ახალგაზრდა სპორტსმენმა მინიმალური ანგარიშით წააგო შეხვედრა ტვარონაიტესთან და მეტოქეს საშუალება მისცა წინ გასულიყო. მაგრამ შემდგომ ლიდერებს ერთმანეთთან მოუხდათ შეხვედრა. 16 წლის მოსწავლე-სპორტსმენის რამანაუსკაიტეს ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ ძლიერ მოწინააღმდეგეზე — 3:0, ლიდერთა შანსები ისევ გათანაბრდა. ამრიგად, ლესტალს და რამანაუსკაიტეს თითო-თითო დამარცხება ჰქონდათ და გამარჯვებულის გამოსავლინებლად მათ შორის დამატებითი შეხვედრა ჩატარდა. პირველ პარტიაში რამანაუსკაიტე დამაჯერებლად დაწინაურდა, მაგრამ შემდგომ ტაქტიკური შეცდომა დაუშვა, დამარცხდა და მომდევნო ორი პარტია „დაუთმო“ მეტოქეს.

მოციგურავეთა პირველი შეხვედრები

სვერდლოვსკის „დინამოს“ საციგურო მოედანზე ჩვენი ქვეყნის უძლიერესმა მოციგურავეებმა ჩვენთან სტუმრად მყოფ გდრ-ის სპორტსმენებთან ერთად, სეზონის პირველი ოფიციალური შეჯიბრება გახსნეს. პროგრამაში იყო 500, 1.500 და 5.000 მეტრზე რბოლა ვაჟთათვის და 500 და 3.000-მეტრიანი დისტანციები — ქალთათვის.

შეჯიბრებაზე საუკეთესო დრო 500 მეტრზე რბოლაში ვაჟთა შორის აჩვენა ლენინგრადელმა ნ. ზუგროვმა — 42,7, რომელსაც 0,5 წამით ჩამორჩა მსოფლიო რეკორდსმენი, მოსკოვის გუნდის წარმომადგენელი ე. გრიშინი. რბოლა 1.500 მეტრზე მოიგო ა. ტიტოვმა, მისი შედეგია 2.21,4. დაძაბული ბრძოლა გაიმართა 5.000-მეტრიან დისტანციაზე საბჭოთა კავშირის ჩემპიონ ბ. ციბინსა და მსოფლიო რეკორდსმენს — ბ. შილკოვს შორის. შედეგით — 8.30,0 გაიმარჯვა შილკოვმა.

ქალთა შორის 500 მეტრზე გაიმარჯვა რ. ბელოვამ (49,0), ხოლო 3.000 მეტრზე — ლ სელიხოვამ (5.41,3). ამ ორი დისტანციის ჯამში პირველ ადგილზე ლ. სელიხოვა გამოვიდა.

500 და 5.000-მეტრიანი დისტანციების ჯამში ვაჟთა შორის გამარჯვებული გამოვიდა ო. გონჩარენკო, ხოლო 1.500 და 5.000-მეტრიანი დისტანციების ჯამში — ბ. ციბინი.

ირანელი სპორტსმენები თბილისში

როგორც ვიუწყებოდით, საბჭოთა მირში სტუმრად იმყოფებოდა ნის არმიის სპორტული დელეგა- — კალათბურთელთა ნაკრები დი, რომელსაც ხელმძღვანელობს ლკოვნიკი ჰასეინ მავაჰედი. სტუმ- ბმა სამი ამხანაგური შეხვედრა ჩა- რეს ლენინგრადის, მოსკოვისა და ის არმიელ კალათბურთელებთან. 15 დეკემბერს ირანის არმიის სპო- ული დელეგაცია ჩამოვიდა ჩვენი პუბლიკის დედაქალაქ თბილისში. გულთბილად შეხვდნენ ამიერ- კასიის სამხედრო ოლქის, აგრეთვე დედაქალაქის სპორტული საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

სტუმრებმა დაათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობანი, გაეცნენ მშრომელთა კულტურული დასვენებისა და გართობის ზოგიერთ კერას.

16 დეკემბერს ირანელი სპორტსმენები თვითმფრინავით გაემგზავრნენ სამშობლოსაკენ. დელეგაციის მეთაურმა ჰასეინ მავაჰედმა მადლობა გადაუხადა მრავალრიცხოვან გამცილებლებს გულთბილი მიღებისათვის.

კიდევ ოთხი მონაწილე

სოფიაში თუმცა ჯერ არ დამთავრებულა სამთა მატჩ-ტურნირი, მაგრამ უკვე გაირკვა თუ ვინ გავიდა სოფიის ზონალურ შეჯიბრებიდან საზონათაშორისო ტურნირში. ესენი არიან გროსმაისტერი მატანოვიჩი (იუგოსლავია) და ოსტატი ნეიკირხი (ბულგარეთი).

აი როგორ მოხდა ეს. მატჩ-ტურნირის მეორე წრის პირველ პარტიაში მატანოვიჩმა შავებით კარგად გამოიყენა პოლონეთის ჩემპიონის ოსტატ სლივას შეცდომები და გაიმარჯვა. ამ დამარცხებით სლივამ დაკარგა დუბროვნიკის ტურნირში მონაწილეობის შანსები, რადგან III ტურის შემდეგ მატანოვიჩს 2,5 ქულა აქვს, ნეიკირხს — 1,5 ქულა (2-დან), სლივას კი — 0.

ამერიკის კონტინენტზე დამთავრდა კიდევ ორი ზონალური ტურნირი. ცენტრალურ ამერიკის ზონაში გაიმარჯვა ოსტატმა დეიგრეიფმა, ხოლო კანადის ზონალურ ცენტრში ოსტატმა ვაიტონისმა.

ამრიგად გაირკვა დუბროვნიკის საზონათაშორისო ტურნირის კიდევ ოთხი მონაწილე.

მთასვლელობის მდიდარი ტრადიცია

საბჭოთა მთასვლელობის აკვანი საქართველოში დაირწა 1923 წლის აგვისტო-სექტემბერში მყინვარწვერზე პირველი ორი მასობრივი ასვლით, რომლებსაც ქართველი სახელოვანი მეცნიერები გიორგი ნიკოლაძე და ალექსანდრე დიდებულიძე ხელმძღვანელობდნენ.. სპორტის ამ ულამაზესმა სახეობამ არნახულ განვითარებას მიაღწია ჩვენს ქვეყანაში.

სპორტული მთასვლელობა XIX საუკუნის პირმშოა, მაგრამ მთასვლელობა სამეურნეო საქმიანობაში უძველესი პერიოდიდანაა გამოყენებული იმ ხალხების მიერ, რომელთაც მთიან რაიონებში უხდებოდათ ცხოვრება. სამეურნეო მიზნით მთასვლელობის გამოყენებამ ხელი შეუწყო საერთო ტექნიკის გამომუშავებას, მთასვლელობისათვის საჭირო საჭურველის გამოგონებასა და შემდგომ სრულყოფას.

არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ სსრ კავშირის, კერძოდ, კავკასიის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელიც ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე იცნობდა მთასვლელური ტექნიკის საფუძვლებს და იყენებდა მთასვლელობისთვის საჭირო ძირითად საჭურველს — წრიაპსა და რკინის პალოებს, წერაყინსა და ქანცს (ალპინშტოკს), თოკსა და ჯაჭვს, საცოც ტყავებსა და თხილამურებს და ა. შ. ამას ადასტურებს ისტორიული, ლიტერატურული, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალები.

კავკასიონის მთებზე ასვლები სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მიზნებით უწარმოებიათ ლაზთა მეფე გუბაზს, მაქსიმე აღმსარებელს, ივანე მხარგრძელს, თეიმურაზ პირველს, იოსებ მოხევეს და სხვ.

რკინის სატეხების (პალოების) გამოყენება დამოწმებულია ძველი, წარმართული დროის თქმულების — „მიჯაჭვული ამირანის" სვანურ ვარიანტში, რომლის მიხედვითაც უცნობი მონადირე მიუვალი კლდიდან ქალის კივილს გაიგონებს, შინ ბრუნდება, მჭედელს სატეხებს გააკეთებინებს და გამოქვაბულში შევა ამბის გასაგებად. რკინის სატეხების, ჩანგლებისა და ჯაჭვის გამოყენება დამოწმებულია თ. რაზიკაშვილის მიერ ქართლში ჩაწერილ ზღაპარ „ივანე ცისკარში". ივანე ცისკარმა კლდეზე ასასვლელად „გამოკვერა უზარმაზარი ჯაჭვი, ჩასვეს ერთი დიდი მარგილი, დაამაგრეს იმაზე ერთი პირი ჯაჭვისა, მეორეზე ჩანგლები მიაბეს, ცისკარმა მოავლო ხელი ჯაჭვს, ატყორცნა და აიყვანა წვერამდეს. მოეჭიდნენ ყველანი, მოედო ჩანგალი კლდეს, გამაგრდა ისე, რომ ასვლა შეიძლებოდა". და ავიდნენ კიდეც.

წრიაპს, როგორც მაღალმთიან მწვერვალებზე ასვლისათვის აუცილებელ საჭურველს, ადრეული პერიოდიდანვე (ჯერ კიდევ ჩვ. ერამდე) იყენებდნენ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხები. კერძოდ სტრაბონი (I ს. ჩვ. ერამდე) აღნიშნავს რა ალბანების, იბერების, კოლხებისა და ჰენიოხების საზღვრის გასწვრივ კავკასიონის ყველაზე მაღალი მთების არსებობას, მიუთითებს, რომ „მწვერვალები ზამთრობით გაუვალია, ხოლო ზაფხულობით ადიან (ფეხებზე) ლურსმნებით დაჭედილი, დამუშავებული ტყავით ამოკრულები, ხოლო (ეს ტყავები) სიფართოვით დაფის ოდენაა (და იკეთებენ ამას) თოვლისა და ყინულის გამო" (თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, 1957 წ. გვ. 141).

აღნიშნული ცნობით ჩანს, რომ ასვლები წარმოებდა მუდმივი თოვლითა და ყინულით დაფარულ მაღალმთიან მწვერვალებზე, რომლებზეც ასვლებისათვის გამოყენებული ჰქონიათ ხარის ტყავზე დამაგრებული რკინის წრიაპები, რომლებიც მთასვლელს ამოკრული აქვს ფეხის გულებზე. იმავე სტრაბონის ცნობით რკინის წრიაპების გარდა მთასვლელობაში სომხეთში გამოყენებული ყოფილა მრგვალი, ხის წრიაპიანი თხილამურები. „აქ (ე. ი. სომხეთში — ვ. ა.) ფეხსაცმლის ძირზე აგრეთვე ხის (პატარა) გოგორებს იკეთებდნენ, რომლებიც ლურსმნებითაა დაჭედილი". სტრაბონის ცნობით ირკვევა, რომ მთასვლელობაში გამოყენებული ყოფილა ორი სახის წრიაპი: რკინისა და ხისა. რკინისას ამაგრებდნენ ტყავზე, ხოლო ხისას — მრგვალ თხილამურებზე. რკინის წრიაპებს ხმარობდნენ ყინულოვან, ხოლო ხისას — თოვლიანი მთის მწვერვალებზე ასვლებისათვის. გარდა ამისა, სტრაბონი მიუთითებს მთებიდან ჩამოსვლისათვის საცოცი ტყავების გამოყენების შესახებ: „ძირს ტყავებზე მწოლარენი ჩამოდიან თავის ტვირთიანად და მოცურავენ, ისე როგორც აკეთებენ ამას ატროპატის მიდიასა და მისიის მთიდან, რომელიც არის არმენიაში".

რკინის წრიაპების გამოყენება ქართულ ორიგინალურ ლიტერატურაში დადასტურებულია მე-17 საუკუნის ქართველი ლექსიკოგრაფის, დიპლომატისა და მწერლის საბას მიერ, რომელიც სიტყვა წრიაპის განმარტებისას წერს: „წრიაპი ეს არის რკინა შემზადებული კბილებიანი ტერფთა ამოსაკრავად, რათა ფრიალოთა მავალსა კაცსა ფეხი არა მოუცურდეს":

მთასვლელობაში ადრეული პერიოდიდანვე გამოყენებული ყოფილა წერაყინი, რომლის შესახებ პირველ ცნობას ბასილ ზარზმელი გვაწვდის თხზულებაში „ცხოვრება და მოქალაქობაი ღმერთშემოსილისა ნეტარისა მამისა ჩუენისა სერაპიონისი".

ბასილ ზარზმელის აღნიშნულ თხზულებაში აღწერილია სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებულ სამონასტრო მშენებლობასთან დაკავშირებით მოგზაურობა „უვალთა ადგილთა". სერაპიონ ზარზმელს მხლებლებითა და გამყოლის თანხლებით მოუხდენია გოდერძის უღელტეხილზე გადასვლა (2025 მ), რის შემდეგ მათ გადაუვლიათ გოდერძის აღმოსავლეთით მდებარე მეტად ძნელი სავალი, მაღალი ტყითა და ლოდებით დაფარული ქედები და მოუხდენიათ ასვლა ამ ქედის „უმაღლესთა ადგილთა". ამსვლელთა ჯგუფი „უმაღლესთა ადგილთა" ასვლისას ტოვებდა ასვლის დამადასტურებელ ნიშანს. კერძოდ, ავიდნენ რა მაღალი ქედის „უმაღლესთა ადგილთა", რომელსაც ბაკი ეწოდებოდა, სერაპიონ ზარზმელმა „აღიღო ხელითა თვისითა ორთოხი რკინისა და გამოაქანდაკნა ჯუარნი ლოდთა მათზე ზედა დიდ-დიდთა, რომელნი იგი იხილვებიან ვიდრე დღევანდელად დღემდე". აღნიშნული ცნობიდან ყურადღებას იპყრობს რაღაც სპეციალური იარაღი „ორთოხი რკინისა". ი. ამნაიშვილის განმარტებით, ორთოხი არის: „ორპირი თოხი („წერაქვი")?", ხოლო საბა, ეფრემ მცირის დამოწმებით, განმარტავს: „ორთოხი ორგნითვე სათხრელიაო". მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ სერაპიონ ზარზმელი ორთოხს სათხრელად კი არ ხმარობს, არამედ ქვაზე (ამ შემთხვევაში — ლოდზე) საკვეთლად, მას, როგორც ამავე საკითხზე ნ. რეხვიაშვილი აღნიშნავს, „საკოდელი ჰქონდა ხელთ", თუმცა მას საბოლოოდ მაინც სათხრელ იარაღად მიიჩნევს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სერაპიონ ზარზმელის მიერ გამოყენებული „ორთოხი" მაღალმთიანი ასვლებისათვის საჭირო სპეციალური იარაღი უნდა ყოფილიყო ძნელად სავალ კლდეებსა და ფერდობებზე სვლისათვის გამოყენებული. იგი თანამედროვე წერაყინის წინაპრად უნდა მივიჩნიოთ.

კავკასიელი ხალხისათვის ალპინშტოკიც ადრეული პერიოდიდანვე უნდა ყოფილიყო ცნობილი და გამოყენებული მთასვლელობის დროს, რაზეც მიუთითებს სვანურ ენაზე დღემდე დაცული ალპინშტოკის ძველი სახელწოდება „მუჯური" და „ქანცი".

ადრეულ პერიოდიდანვე მთასვლელობაში გამოყენებული ყოფილა თხილამურებიც, რომლის შესახებ ცნობა დაცული აქვს თეოფანე ჟამთააღმწერს, რომლის მიხედვითაც სპათარ ლეონ ისავრიელს ორმოცდაათი კაცის თანხლებით გადაულახავს კავკასიონი. „სპათარმა თან გაიყოლია ორმოცდაათი ულანი, თხილამურების საშუალებით გადალახა თოვლიანი კავკასიონი — სხვათაშორის მაისი იყო" — წერს თეოფანე.

მთასვლელის ერთ-ერთ აუცილებელ საჭურველს წარმოადგენდა ქალამნის სპეციალური სახეობა „ბანდულები", იგივე „ჯღანი" და „ლანჩა". გ. გასიტაშვილის აღიარებით „ჯღანი" ანდა „ბანდულები" არის ერთგვარი ქალამანი, რომელსაც ძირი გამობანდული აქვს. ამ ფეხსაცმელს იცვამენ ხევსურნი სანადიროდ, ძნელად მისავალ ადგილებში სასიარულოდ. „ჯღან არ გაქანდების არც ყინულზე, არც სველ მიწაზედ, წრიაპზე მეტ არის ფეხის გამამაგრებლად" — შენიშნავენ მთხრობლები. იმავე გასიტაშვილის ცნობით, ასეთი ფეხსაცმლის ნაირსახეობა გავრცელებული ყოფილა თუშებში, ხევში და ოსებში. ვახუშტი ბაგრატიონი მიუთითებს, რომ ოსებს „ფეხთა ზედა ტყავთაგან აცვიათ, რომლისა არს ლანჩა გამობანდული დახეულის ტყავისაგანვე და მას შინ შთასდებენ თომსა, ჩაიცმენ გარეთ, რათა არა მიუსხლტეთ ფეხი ყინულს, კლდესა და ბალახთა ზედა".

ისტორიული, ლიტერატურული, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალები, რომლებიც ზემოთაა მოყვანილი, მოწმობს მთასვლელობის მდიდარ ტრადიციებს ჩვენს ქვეყანაში.

ვ. აფრიდონიძე

ირკუტსკის ოლქის ქალაქ ანგარსკში ამას წინათ დამთავრდა ახალი სპორტული პავილიონის მშენებლობა.
სურათზე: პავილიონის სპორტული დარბაზი.

მასწავლებელთა ფიზკულტურული კოლექტივი

დედაქალაქის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის მასწავლებელთა გაერთიანებულ ფიზკულტურულ კოლექტივს არც ისე დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ აქ უკვე მიაღწიეს მნიშვნელოვან წარმატებებს. რეგულარულად მუშაობენ ჭადრაკის, ფრენბურთის, მაგიდის ჩოგბურთისა და სროლის სექციები. კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა მიმდინარე წლის ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადების გეგმა. ზეგეგმით მომზადდა აგრეთვე საზოგადოებრივი ინსტრუქტორები, ძირეული საბჭოს თავმჯდომარეები, ფიზორგები.

ნაყოფიერი წვრთნის შემდეგ მათ შეძლეს პირველი ადგილი მოეპოვებინათ „ბურევესტნიკის" საქალაქო სპარტაკიადაზე მესამე ჯგუფ გუნდებს შორის.

ორჯონიკიძის რაიონის მასწავლებელთა კოლექტივიდან რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე თბილისი გუნდის ინტერესებს იცავდნენ ო. დიდებულიძე, ზ. მეგრელიშვილი, ვ. ადამალიანი, ლ. ნაჭყებია და სხვები.

ორჯონიკიძის რაიონის მასწავლებელთა გაერთიანებული კოლექტივის ფიზკულტურელები მიღწეულით არ კმაყოფილდებიან მოკლე ხანში განზრახული აქვთ ჩაატარონ შიდასაკოლექტივო შეჯიბრებები სროლაში, მაგიდის ჩოგბურთსა და ჭადრაკში.

ი. ხაბეიშვილი

გამოვიტანოთ სათანადო დასკვნები

თბილისის სპორტულ ბაზებზე სამ კვირას გრძელდებოდა სტუდენტთა საქალაქო სპარტაკიადა. სტარტიდანვე პირველობის ძირითადი პრეტენდენტები იყვნენ ფიზკულტურისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტების კოლექტივები. პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტსმენებმა გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს კალათბურთში, ფრენბურთში, ჩოგბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, კლასიკურ ჭიდაობაში, ველორბოლაში ქალთა შორის, ფარიკაობაში, ჭადრაკში. ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტსმენებმა გაიმარჯვეს მძლეოსნობაში, ველოსპორტში ვაჟთა შორის, ცურვაში, ტანვარჯიშში. სროლაში უძლიერესნი იყვნენ რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის წარმომადგენლები.

წინა წლებში ჩატარებული სპარტაკიადებისაგან განსხვავებით აღნიშნული ღონისძიება დაბალ დონეზე ჩატარდა, უმაღლესი სასწავლებლების ფიზკულტურის კათედრები (პოლიტექნიკური და ფიზკულტურის ინსტიტუტებს გარდა), ძირეული საბჭოები, სპორტსმენები მოუმზადებელი შეხვდნენ ამ მეტად მნიშვნელოვან შეჯიბრებას, გამოყავდათ მოუმზადებელი გუნდები. ზოგიერთმა უმაღლესმა სასწავლებელმა კი დაივიწყა კარგი ტრადიცია. თბილისის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა პირველ სპარტაკიადაზე მაშინ, როცა ქალაქის თითქმის ყველა ინსტიტუტი გამოდიოდა, ჩემპიონები გახდნენ სტალინის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის სპორტსმენები, შემდეგ ამ საპატიო წოდებას ისინი კიდევ დიდხანს ინარჩუნებდნენ, მაგრამ უნივერსიტეტის გუნდებმა თანდათან დაუთმეს წამყვანი პოზიციები პოლიტექნიკურ და ფიზკულტურის ინსტიტუტებს. მიმდინარე წლის სტუდენტთა სპარტაკიადაზე უნივერსიტეტის კოლექტივმა 12 სახეობიდან ერთი პირველი ადგილის მოპოვებაც ვერ შეძლო და იძულებული გახდა საერთო მესამე ადგილით დაკმაყოფილებულიყო.

უფრო შორს წავიდნენ სხვა ფიზკულტურული კოლექტივები. უკანასკნელ წლებში შეჯიბრებებს თავს არიდებენ თეატრალური ინსტიტუტის, სამხატვრო აკადემიისა და კონსერვატორიის სტუდენტთა ნაკრები გუნდები.

ძლიერი გუნდები ჰყავდათ სასოფლო-სამეურნეო და ზოოვეტერინარულ ინსტიტუტებს, მაგრამ მას შემდეგ, რაც კომკავშირულმა და ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა ხელი შეუშვეს ახალგაზრდებთან მუშაობას, მიივიწყეს სპორტის მასობრიობა და იმედებს თითო-ოროლა წამყვან სპორტსმენებზე ამყარებენ, არსებული სიძლიერიდან არაფერი დარჩათ, სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ახლახან დამთავრებულ სპარტაკიადაზე ეს კოლექტივები არაორგანიზებულად გამოვიდნენ.

ორგანიზებულობითა და დარაზმულობით ვერც შეჯიბრებაში მონაწილენი დაიტრაბახებენ. სპარტაკიადის მსვლელობის პერიოდში ხშირად ჰქონდა ადგილი გამოუცხადებლობის შემთხვევებს. რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის კალათბურთელ ქალთა გუნდმა ორჯერ აარიდა თავი შეჯიბრებას, რის გამო მოწინააღმდეგეებს — პოლიტექნიკურ და ფიზკულტურის ინსტიტუტებს უბრძოლველად მისცა ქულები. მიუხედავად იმისა, რომ პირველი ჯგუფის ფრენბურთელთა შეხვედრები რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის დარბაზში ტარდებოდა, მასპინძლების ქალთა გუნდი არა სტუმართმოყვარულად მოიქცა და კალათბურთელთა მსგავსად „ბოიკოტი" გამოუცხადა ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივს. მომავალ ინჟინრებს მიბაძეს სახელმწიფო უნივერსიტეტის ფრენბურთელ ქალთა და უცხო ენათა ინსტიტუტის კალათბურთელ ვაჟთა გუნდებმა.

ამას გარდა ადგილი ჰქონდა ცალკეულ სპორტსმენთა დაუდევრობის ფაქტებს. მარტო ჩოგბურთელთა შეჯიბრების პერიოდში მონაწილეთა გამოუცხადებლობის 10 შემთხვევას ჰქონდა ადგილი.

ვინ არიან ისინი, რომლებმაც არად ჩააგდეს კოლექტივის ინტერესები? პუშკინის სახელობის პედინსტიტუტისა და სამედიცინო ინსტიტუტის ჩოგბურთელთა შეხვედრაში 7-დან 4 ქულის მოპოვებით გაიმარჯვეს პედინსტიტუტის სპორტსმენებმა მაშინ, როცა სამედიცინო ინსტიტუტის გუნდის წევრს, რესპუბლიკის ჩემპიონს გ. კაპანაძეს, რომელიც შეჯიბრებაზე არ გამოცხადდა, შეეძლო გუნდისათვის მოეტანა მეტად საჭირო ქულა.

ბურჯანაძე (უნივერსიტეტი) არ გამოცხადდა პუგაევას (პოლიტექნიკური ინსტიტუტი) წინააღმდეგ, ხოლო რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის სტუდენტები ტიმაშჩუკი და კოლომიცევა მატჩზე ფიზკულტურის ინსტიტუტთან. მართალია, კოლომიცევამ პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან შეხვედრაში ერთადერთი ქულა მოუტანა თავის გუნდს, მაგრამ ახლა სხვები გაკადნიერდნენ და შეჯიბრებაზე არ მოვიდნენ.

მხოლოდ სპორტის ოსტატ სენიუკის გამოუცხადებლობის გამო წააგეს მატჩი უცხო ენების პედინსტიტუტის ფრენბურთელებმა პედაგოგიურ ინსტიტუტთან. წესების დარღვევისათვის შეჯიბრებიდან მოიხსნა ფიზკულტურის ინსტიტუტის ველოსიპედისტ ქალთა გუნდი.

საქალაქო ღონისძიების ამგვარად მომზადებამ და ჩატარებამ განაპირობა ის, რომ სპორტის მთელ რიგ სახეობაში შეხვედრები მეტად უინტერესოდ მიმდინარეობდა. ეს განსაკუთრებით ითქმის მეორე ჯგუფის გუნდებზე, რომლებიც სურვილის მიხედვით მონაწილეობდნენ ამა თუ იმ სახეობაში. ცურვაში, სადაც მხოლოდ ორი კოლექტივი გამოდიოდა, შეჯიბრება არ ჩატარებულა 100 მეტრზე ზურგით და კომბინირებულ ამანათცურვაში ქალებისათვის, ქალთა ამანათცურვის სტარტი კი მხოლოდ მედინსტიტუტის სპორტსმენებმა აიღეს.

საჭიროა უმაღლესი სასწავლებლების დირექციებმა, ფიზკულტურის კათედრებმა, ძირეულმა საბჭოებმა, კომკავშირულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა გადაჭრით გარდაქმნან სტუდენტ-სპორტსმენებთან მუშაობა, ხოლო განათლების სამინისტრომ და „ბურევესტნიკის" რესპუბლიკურმა საბჭომ მეტი ყურადღება მიაქციონ მათ საქმიანობას.

6 პირველი ადგილი

15 დეკემბერს „დინამოს" ზამთრის საცურაო აუზში ჩატარდა თბილისის განათლების განყოფილების სპორტსკოლის ნორჩ მოცურავეთა შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობდა 150 სპორტსმენი, მათ შორის 40 გოგონა. ნორჩი სპორტსმენები დაყოფილი იყვნენ სამ ასაკობრივ ჯგუფად და ერთმანეთს პირველობას ეცილებოდნენ 25-მეტრზე თავისუფალი სტილით, ბრასით და ზურგზე ცურვაში.

თავისუფალი სტილით ცურვაში გოგონათა შორის წარმატება ხვდა წილად 9 წლის ნ. ჩუგუევსკაიას, რომელმაც მანძილი 19,4 წამში დაფარა. ბიჭებს შორის თავისუფალი სტილით ცურვაში გამარჯვებული გამოვიდა რ. კრისანოვი, ბრასში — ვ. ბერეკაშვილი, ზურგზე ცურვაში — ვ. ვლასოვი.

მეორე ჯგუფის მოცურავე გოგონებიდან (11-13 წლის ასაკი) პირველობა მოიპოვეს 50 მეტრზე თავისუფალი სტილით და ზურგზე ცურვაში ი. ჩუგუევსკაიამ (შესაბამისად 39,5 დ 46,0 წამი), ბრასში — ი. ნეედლიმ. ამავე ასაკის ბიჭებში კარგი შედეგი ჰქონდა ვ. ზულფიას, რომელმაც გამარჯვება მოიპოვა თავისუფალი სტილით და „დელფინით" 50 მეტრზე ცურვაში —32,6 და 44,8 წამი. ბრასით ცურვაში მანძილი ყველაზე სწრაფად დაფარა რ. გალუევმა, ზურგზე ცურვაში — ნ. კაჩიანმა.

14-17 წლის გოგონები და ჭაბუკები პირველობისათვის იბრძოდნენ 100 მეტრზე თავისუფალი სტილით, ბრასით, ზურგზე და „დელფინით" ცურვაში. გოგონებიდან გამარჯვებულთა სახელი მოიპოვეს შესაბამისად: ა. დავიდოვამ, ლ. სლედნევამ, ს. ქორიძემ და ა. ნარიმანიძემ. ვაჟებიდან უძლიერესნი იყვნენ ვ. სნადნოვი, ი. პოლოსოვი, ე. ხიმჩიანი და ა. ჟუკოვი.

აღსანიშნავია, რომ როგორც გოგონათა, ისე ჭაბუკთა მიერ ნაჩვენები დრო მოზარდთა პირველი თანრიგის ნორმატივებზე გაცილებით უკეთესი აღმოჩნდა.

შეჯიბრება თავისებური რეკორდით დაამთავრა სპორტსკოლის მწვრთნელმა საფრონოვმა. მისმა აღზრდილმა მოსწავლე გოგონებმა 8-დან 6 პირველი ადგილი დაისაკუთრეს.

ა. ბარნოვი

ქუთაისის სტენდზე

საქართველოს მონადირეთა კავშირი ყოველწლიურად ატარებს ტრადიციულ შეჯიბრებას სასტენდო სროლაში საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის სახელობის თასზე. წელს ასეთი ასპარეზობა მოეწყო ქუთაისში, რომელშიც მონაწილეობდა თბილისის, სოხუმის, ბათუმის, ქუთაისისა და მახარაძის „მონკავშირისა" და მონადირეთა საზოგადოების ნაკრები გუნდების 30 სპორტსმენი, რომელთა შორის 12 სპორტის ოსტატი იყო.

შეჯიბრების პირველ დღეს მოეწყო ადგილიდან სროლა. ჩვენი ქვეყნის რეკორდსმენმა ზ. მაჩხანელმა პირველი სერია სუფთად გაიარა. მხოლოდ ერთ სამიზნეს ააცილა სოხუმელმა სპორტის ოსტატმა ი. ცომაიამ, ხოლო სპორტის ოსტატმა ვ. ჯაბახიძემ ორს ამაოდ ესროლა. მეორე სერიაში ლიდერებმა, თითქოს შეთქმულება მოაწყესო, დააზიანეს სამიზნეების ერთნაირი რაოდენობა — 23, მესამე სერიის შემდეგ ჩამორჩა ი. ცომაია, რომელმაც შეძლო მხოლოდ 21 სამიზნის დაზიანება, სამაგიეროდ, ლიდერთა ჯგუფს შეუერთდნენ სპორტის ოსტატები ლ. სიმონიანი და ბ. მეგრელიძე (მახარაძე), დადგა გადამწყვეტი მეოთხე სერია, რომელსაც უნდა გამოერკვია გამარჯვებული. თანაბრად, ძლიერად ისროდა საერთაშორისო სპორტის ოსტატი ზ. მაჩხანელი, რომელმაც მოიპოვა პირველი ადგილი (95 სამიზნე 100-დან). მეორე ადგილზე გამოვიდა სპორტის ოსტატი ვ. ჯაბახიძე, მესამე ადგილისათვის იბრძოდნენ ბ. მეგრელიძე და ლ. სიმონიანი. პირველმა შეძლო უკანასკნელი სერია სუფთად გაეარა, რითაც გაინაღდა მესამე საპრიზო ადგილი 91 დაზიანებული სამიზნით. გუნდური პირველი ადგილი დაიკავა თბილისის „მონკავშირის" გუნდმა, მეორეზე გამოვიდა „აფხაზმონკავშირის" გუნდი, მესამეზე — მახარაძის მონადირეთა საზოგადოების კოლექტივი.

შეჯიბრების მეორე დღეს მოეწყო მრგვალ სტენდზე სროლა. გუნდური ადგილები აქაც იმავე თანმიმდევრობით განაწილდა, როგორც ადგილიდან სროლაში. პირად ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავა სპორტის ოსტატმა ლ. სიმონიანმა, რომელმაც დამატებით სროლაში სძლია სოხუმელ პირველთანრიგოსან ბ. სეგალევიჩს.

სროლის ორივე სახის კომპლექსში (სროლა ადგილიდან და მრგვალ სტენდზე) გუნდური პირველობა და მასთან გარდამავალი თასი მოიპოვა თბილისის „მონკავშირის" ნაკრებმა გუნდმა სპორტის ოსტატების ზ. მაჩხანელის, ვ. ჯაბახიძის, შ. ჩახნაშვილის, დ. ცაგარეიშვილის, ლ. სიმონიანისა და პირველთანრიგოსან ტ. კობერიძის შემადგენლობით, რომელმაც მოაგროვა 645 ქულა 750 შესაძლებლიდან.

ქუთაისის მონადირეთა საზოგადოების გამგეობის აქტიური დახმარებით ეს ტრადიციული შეჯიბრება ჩატარდა მაღალ სპორტულ დონეზე. ამას ვერ ვიტყვით ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის შესახებ, რომლის წარმომადგენელი არც შეჯიბრების გახსნას, არც მის მსვლელობას და დახურვას არ დასწრებია.

ჯ. მოწონელიძე

*

სურათზე: შეჯიბრების მომენტი ქუთაისის სტენდზე.
ფოტო ვ. სემიონოვისა

◆

17 დეკემბერს თბილისის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა ჭაბუკ ფეხბურთელთა შერჩევითი ტურის მორიგი მატჩი. უმაღლეს სასწავლებლებთა ნაკრები გუნდი შეხვდა საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებს. გაიმარჯვეს სტუდენტებმა.

• • •

სურათზე: შეხვედრის ერთი მომენტი.

ფოტო მ. ზარგარიანისა

◆

მიიღეთ მონაწილეობა „ხალხთა მეგობრობის კონკურსში"

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საჭადრაკო ჟურნალმა „შახმა" ამას წინათ გამოაცხადა კონკურსი გერმანელი კომპოზიტორის ი. მიკულჩაკის მიერ შემუშავებულ თემაზე ორ და სამსვლიანი საჭადრაკო ამოცანების შედგენაში.

კონკურსში შეუძლია მიიღოს მონაწილეობა ყველა მსურველს. მოცემულ თემაზე შედგენილი ამოცანები (ორ ცალად დიაგრამებზე დახატული) უნდა გაიგზავნოს 1958 წლის 28 თებერვლამდე შემდეგი მისამართით: გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ქალაქი ბერლინი, ნ-58, კნააკშტრასე, 71, ბ. კოხს, კონვერტზე წარწერით „ხალხთა მეგობრობის კონკურსზე", აუცილებელია ავტორმა მიუთითოს თავისი გვარი, სახელი, მამის სახელი და ზუსტი მისამართი.

კონკურსზე ყველა შემოსული ამოცანა დაიბეჭდება ჟურნალ „შახში", რომლის მკითხველები კიდეც იქნებიან კონკურსის მსაჯები.

საუკეთესო ნაწარმოებთა ავტორები დაჯილდოვდებიან ფასიანი საჩუქრებით, გარდა ამისა ორი ამოცანა — ერთი გერმანელი, მეორე — საბჭოთა კომპოზიტორისა — აღინიშნება სპეციალური პრიზებით, რომლებიც ამისათვის გამოჰყო საბჭოთა კავშირ-გერმანიის მეგობრობის საქსონიის სტოლბერგის ოლქის საზოგადოებამ.

რას წარმოადგენს ი. მიკულჩაკის თემა?

ამოცანის დაწყებით პოზიციაში თეთრების ცდა, მცდარ კვალში განახორციელონ რომელიღაც მუქარა, აწყდება შავების უარყოფას. მაგრამ თეთრები თავის მიზანს აღწევენ მხოლოდ მაშინ თუ კი იგივე მუქარას შემდეგ განმეორებით განახორციელებენ. ავხსნათ ეს მაგალითით:



შამათი 2 სვლაში.

მოყვანილ ამოცანაში თეთრების ცდა 1. ლb4? (მუქარით 2. ლe4×) უკუიგდება 1. ... მc5!-ით, რადგან უკვე შეუძლებელია b4-დან თეთრი მხედარით შამათის გამოცხადება. ამიტომ წყვეტს 1. ლe8 (მუქარაა 2. ლ:e6), რადგან e6 მხედრის ნებისმიერ სვლაზე იგებს 2. ლe4×. აქ ჩანს თუ პირველადი მუქარამცდარი კვალიდან როგორ გადაიქცა განმეორებითად ნამდვილ ამოხსნაში. არის ვარიანტებიც: 1. ... მc5 2. c4× და 1. ... მg5 2. მ:f4×.

ჭადრაკი

ახლა გავეცნოთ ი. მიკულჩაკის ორ ამოცანას, რომლებშიც მისი თემა კარგად იგრძნობა.

თეთრები: მფa6, ლg4, ეa4. ეd7, კh6, მc2, მd5 პ-ბი: b5. e6 (9)

შავები: მფc5, ეf2, ეh4, კa1. კh7, მd2. მe4, პ-ბი: a7, b3, e3, e5 (11)

შამათი 2 სვლაში

d5 მხედრის ნებისმიერი წასვლა ქმნის თემატურ მუქარას 2. ეd5× მაგალითად 1. კc7?, 1. მe7? ან 1. მ:e3? მაგრამ ეს ცდები უკუიგდება შესაბამისად 1. ... მd6!-ით. 1. ... მf6!-ით და 1. ... მc3!-ით იგებს 1. მbd4! (მუქარით 2. მd3×). ამ მუქარისგან დაცვისათვის e4 მხედრის წასვლა შესაძლებელს ხდის 2. ეd5×. თეთრ ლაზიერს მუქარის ქვეშ აჰყავს c4 უჯრა, რომელიც განთავისუფლდა თეთრების პირველი სვლის შემდეგ.

თეთრები: მფg6, ლf1, ეe1. კa5 კa6. მa8, მd3, პ-ბი: b3, e6 (9)

შავები: მფd4, კg1, კh1, მe4, პ-ბი: b2, d5, d7, g7 h2 (9)

შამათი 3 სვლაში.

თუ უცებ ვითამაშებთ 1. მc7? (2. მb5× მუქარით), მაშინ მას მოჰყვება 1. ... მd6! და მე-3 სვლაზე შამათი არ იქნება. ამიტომ 1. ლf5 (მუქარით 2. ლe5×) იწვევს d6 უჯრის ბლოკირებას: 1. ... d6 და მხოლოდ ახლა 2. მc7! მუქარით 3. ლ:d5×. შავი მხედრის ყოველი სვლა რთავს სახიფათო უჯრის დაცვაში კუh1-ს, სამაგიეროდ შესაძლებელი ხდება 3. მb5×, თუ 2. ... მc3 მაშინ 3. კb6×.

რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში

სასწავლებლის პირველობაზე

ამ დღეებში თბილისის № 1 ტექნიკურ სასწავლებელში ჩატარდა პირად-გუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში.

უმჩატეს წონაში გამარჯვებული გამოვიდა ჯ. აბდალაძე, მჩატე წონაში — ვ. ქურდაძე. ქვესაშუალო წონაში გ. გიგაურმა დაამარცხა ყველა მოწინააღმდეგე და პირველი ადგილი მოიპოვა. საშუალო, ქვემძიმე და მძიმე წონებში სასწავლებლის ჩემპიონები გახდნენ ტ. გელიაშვილი, დ. გიორგობიანი და ჯ. ჩერქეზიშვილი.

საერთო გუნდური პირველი ადგილი წილად ხვდათ I ჯგუფის მოჭიდავეებს.

ლ. აბრამიძე,
კომკავშირის კომიტეტის მდივანი

სტუდენტთა ქალაქში

საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოებისა და სახალხო მსაჯულების არჩევნებისათვის მზადებას მიუძღვნეს საჭადრაკო ტურნირი თბილისის სტუდენტთა ქალაქის მცხოვრებლებმა. ჩემპიონატში, რომელშიც 11 სპორტსმენი მონაწილეობდა, გამარჯვებული გამოვიდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი ა. კირვალიძე. მან 10 შესაძლებლიდან 9.5 ქულა მოაგროვა, მეორე ადგილი წილად ხვდა უნივერსიტეტის სტუდენტს ა. მეგრელიშვილს, მესამე — ე. ბგაჯანოვს.

ბ. ბერიაშვილი

ორი ღონისძიება

ორ კვირას გაგრძელდა თელავის „კოლმეურნის" თასის გათამაშება ფეხბურთში. გამარჯვებისათვის იბრძოდა 11 გუნდი. ფინალში წინანდლის გუნდმა დაამარცხა შალაურის კოლექტივი — 5:2 და მეოთხედ მოიპოვა გარდამავალი თასი.

• • •

დამთავრდა მოსწავლე კალათბურთელთა საქალაქო პირველობა, რომელშიც მონაწილეობდა ვაჟთა 7 და გოგონათა 6 გუნდი.

ვაჟთა შორის შეჯიბრება წაუგებლად ჩაატარა პირველი საშუალო სკოლის გუნდმა და დაიკავა I ადგილი.

გოგონათა შორის ძლიერი აღმოჩნდა შეჯიბრებაში კონკურსგარეშე მონაწილე პედაგოგიური ინსტიტუტის კოლექტივი. პირველი ადგილი მიეკუთვნა რუსული საშუალო სკოლის გუნდს.

გ. ჩიკვაიძე

ყოველი მხრიდან

◆

შეჯიბრების უჩვეულო გახსნა და დახურვა

გოთის 1957 წლის საერთაშორისო ტურნირის გახსნა მისმა ორგანიზატორებმა გადააქციეს ლამაზ და მიმზიდველ სანახაობად — იგი უფრო კონცერტს წააგავდა, ვიდრე ოფიციალურ ცერემონიალს.

შეჯიბრება საზეიმოდ გაიხსნა გრიგის მარშის ჰანგებზე, რომლის შემდეგ ტურნირის მონაწილენი ავსტრიიდან, ბულგარეთიდან, იუგოსლავიიდან, პოლონეთიდან, საბჭოთა კავშირიდან და სხვა ქვეყნებიდან — ავიდნენ სცენაზე.

სიტყვა „მიეცა" მოცარტს — ორკესტრმა შეასრულა მისი უვერტიურა. მუსიკალურ შესავალს მოჰყვა ქალაქის თავის გ. ვუჩლერის მისალმების წაკითხვა.

თავისებურად ჩატარდა კენჭისყრაც. დარბაზში შემოვიდა წითელ და ცისფერ სამოსელში მორთული 16 ცოცხალი საჭადრაკო ფიგურა. ტურნირის ყოველ მონაწილეს შესთავაზეს ამოერჩია „ფიგურა", რომელიც მას გადასცემდა კერამიკიდან მხატვრულად შესრულებულ ქალაქ გოთის ღერბსა და ყვავილების თაიგულს. ღერბის მეორე მხარეს აღნიშნული იყო ნომრები 1-დან — 16-მდე. საინტერესოა, რომ დ. ბრონშტეინმა და გროსმაისტერმა ლ. პახმანმა ლაზიერები აირჩიეს, რაც ალბათ იღბლიანი იყო, რადგან მათ შესაბამისად I და II ადგილები დაიკავეს.

კენჭისყრის შემდეგ საზეიმო მარშის ჰანგების ქვეშ დარბაზი დატოვეს ცოცხალმა საჭადრაკო ფიგურებმა. როგორც ჩანს, მუსიკალურმა განწყობამ გავლენა იქონია შეჯიბრების მთავარი მსაჯის ოსტატ რ. შტრაუსის (ცნობილი ავსტრიელი კომპოზიტორის თანამოგვარე) დანიშვნაზეც.

არანაკლებ საინტერესო იყო გოთის ტურნირის დასკვნითი ნაწილი — ჯილდოების გადაცემა. ტურნირის ხელმძღვანელებმა გვერდი აუხვიეს საერთოდ მიღებულ წესს, ჯილდოები კი არ დაარიგეს, არამედ მაგიდაზე დააწყვეს. მსაჯთა კოლეგია მაგიდასთან იძახებდა მოჭადრაკეებს დაკავებული ადგილების მიხედვით და თავაზობდა თავისი გემოვნებით ამოერჩია დამსახურებული ჯილდო. დ. ბრონშტეინს, როგორც ყავის დიდ მოყვარულს, ჩაიდანი აუღია. II ადგილზე გამოსულმა ლ. პახმანმა იგი შეაქო მოკრძალებისათვის და ფოტოაპარატი აიღო.

შიშის გრძნობა

ამერიკის შეერთებულ შტატებში დიდი პოპულარობით სარგებლობს მსოფლიო რეკორდსმენი ჭოკით ხტომაში ახალგაზრდა გუტოვსკი. მისი მეგობრები დარწმუნებული არიან, რომ გუტოვსკი 5 მეტრიან ზღვარს აუცილებლად გადალახავს მაშინაც კი... თუ მას თვალებს აუხვევენ.

მაგრამ თურმე თვითონ გუტოვსკის „სიმაღლის დიდი შიში" აქვს, რომელსაც იგი სრულებით არ მალავს. მისი სიტყვებით, იგი წყნარია 4.30 მეტრის სიმაღლემდე. შემდეგ კი ერთგვარი აღელვება ემჩნევა. მაშინაც კი, როცა იგი მსოფლიო რეკორდს ამყარებდა — თავის თავს კარგახანს უმტკიცებდა, რომ სიმაღლე არ აღემატება 4.30 მეტრს და სარეკორდო სიმაღლეზე დადებულ თამასას არც კი უყურებდა.

კუცი პირი

მელბურნის ოლიმპიური ჩირაღდანი თუმცა კარგახანია ჩაქრა, სპორტული მიმომხილველების ყურადღების ცენტრშია თამაშებზე ნაჩვენები მაღალი შედეგები, ქვეყნდება მოგონებები, მომავალი ბრძოლების პროგნოზები.

დიდი გამოხმაურება ჰპოვა 10.000 მეტრზე რბენაში ვლადიმერ კუცის ბრწყინვალე გამარჯვებამ. ამ შეჯიბრების პერიპეტიები საბჭოთა მკითხველებისათვის კარგად არის ცნობილი ვ. კუცის წერილიდან, რომელიც ჩვენს გაზეთშიც გამოქვეყნდა.

იგივე საკითხს ეხება ინგლისელი სპორტის მიმომხილველის როჯერ ბანისტერის სტატია. ამ უკანასკნელმა კუცის შეფასებაში მთელი მეტამორფოზა განიცადა. სკეპტიკური თვალი, რომლითაც იგი საბჭოთა სტაიერს უყურებდა, თანდათან დაიწმინდა და მელბურნის შემდეგ ინგლისელი ჟურნალისტი სიმართლის ენით ალაპარაკდა.

ვბეჭდავთ გერმანულ ჟურნალ „სპორტ იმ ბილდში" გამოქვეყნებული როჯერ ბანისტერის ამ წერილის თარგმანს.

10.000 მეტრზე რბენის სტარტზე სამ რიგად 24 სტაიერი ჩამწკრივდა. ეს მელბურნში მძლეოსნების შეჯიბრების კულმინაციურ წერტილს წარმოადგენს. ცა ნათელია, თუმცა ნელი ქარი ქრის. სავსებით საწინააღმდეგო ცნობების მიუხედავად ემილ ზატოპეკი სტარტზე არ ჩანს. არ მონაწილეობს აგრეთვე ჰერცი ხრომიკი. იგი მხოლოდ 3.000 მეტრზე გარბენით დაკმაყოფილდა.

ვლადიმერ კუცმა შინაგანად თავისთვის უზრუნველყო პირველი ადგილი და აიღო თითქოს დამღუპველი, ყოვლად მცდარი სტარტი, რომელიც, როგორც წესი, დიდ მანძილებზე რბენის დროს გამორიცხულია. მას ჯგუფად უკან გაჰყვნენ დამშეულივით გამომყურე გორდონ პირი, შემდეგ დეივ სტივენსი, ავსტრალიელი ექსცენტრიული მილკმანი და პატარა უნგრელი ჟოზეფ კოვაჩი.

სრული ნაბიჯებით მიიწევს წინ კუცის წითელ მაისურში გამოწყობილი მძლავრი ფიგურა. მისი ტაქტიკური დახვეწილობა მძიმე რუსული ტანკის მოძრაობას ემსგავსება. პირი მას თავიდანვე მაგნიტივით მიეკრო. პირველი წრე მათ 61,4 წამში დაფარეს. ეს არის დრო, რომელიც ერთ მილზე რბენისას საკმაოდ დამაკმაყოფილებელია, ხოლო ამ მანძილისთვის კი, იგი უეჭველად მაღალ სიჩქარედ უნდა ჩაითვალოს.

მომდევნო წრეში კუცი და პირი ანელებენ ტემპს, თითქოს კმაყოფილდებიან 10.000 მეტრზე მიღწეული იმ რეკორდით, რომელიც ეკუთვნით ავსტრალიელებს ლოურენსს და პაუერს, რუსებს პოლოტნიკოვსა და ჩერნიავსკის. პატარა შავკანიანი მაროკოელი 36 წლის ალენ მიმუნი მიმზიდველი, მსუბუქი, ჰარმონიული ნაბიჯებით დარბის. ამის წყალობით მან ჰელსინკში ორი ვერცხლის მედალი მიიღო. ახლა იგი, არც თუ სავსებით საკუთარი სურვილით, ლიდერზეა დამოკიდებული. ასეთსავე დღეშია ფერწასული ინგლისელი ფრანკ სანდო. იგი ამჯერადაც იმგვარი გრძელი ნაბიჯებით მიდის, რომლებმაც მას ჰელსინკში მეხუთე ადგილი აალებინა. ახლა უკვე დრო გამოიცვალა, მაგრამ ჩვენ უფლება არა გვაქვს ორივეზე ვიფიქროთ, რომ ისინი უფრო საშიშნი გახდნენ.

პირველი სიურპრიზი მე-5 წრეზე მოხდა. პირისათვის მოულოდნელად კუცმა უცებ 150 მეტრიანი „ნახტომი" გააკეთა. მე ვაკვირდებოდი და ვფიქრობდი, რომ კუცის ეს „აფეთქება" განკუთვნილი იყო საბჭოთა მაყურებლებისათვის, ან შეიძლება ეს პასუხად მოჰყვა მწვრთნელის შესაძლო გამაბრაზებელ შეძახილს (უწესოდ მოქცევა სტადიონზე სასტიკად აკრძალული იყო).

შემდეგ კი წინააღმდეგობის გატეხვის ტაქტიკა. ორივე მორბენალის ელასტიკურად მოძრავი ფეხები გადაბმული ჩანდა. ისინი მხოლოდ მაშინ განცალკევდნენ, როცა პირი რვა მეტრით ჩამორჩა. წრის დასასრულს კი ფეხები კვლავ გადაენასკვენ. ეს წრე სამი წამით ჩქარი იყო წინაზე. ერთი რამ ცხადი გახდა — ასეთი ცვალებადი ტემპით მთელი გულითაც რომ მოგენდომებინა, რეკორდის მოხსნა შეუძლებელი იყო.

მე-6 წრეზე ავსტრალიელი და საბჭოთა მორბენლები დაეწივნენ ლიდერებს, მხოლოდ კოვაჩი მიაბიჯებდა მძიმედ მათ უკან. კუცმა 3000 მეტრი სარეკორდო დროში გაირბინა — 8.24,0 წუთი. მე-9 წრეზე იგი ახორციელებს კიდევ ერთ ტაქტიკურ სიახლეს, რომლის მსგავსი მისთვის მე ჯერ არსად არ შემიმჩნევია. კუცი მეტად თავისუფლად მირბის და გადადის მეორე სარბენ ბილიკზე. პირისათვის ეს ნიშნავდა მიპატიჟებას წინ გასულიყო. მაგრამ ინგლისელი მიხვდა, რომ ასეთ ნაბიჯს შეიძლება ცუდი შედეგი მოჰყოლოდა. ამიტომ ძველ გზას მიჰყვა. კუცმა ამ წრეზე 7 მეტრით მეტი გაირბინა. ყოველთვის როდესაც იგი „ფეთქდება", პირი მზარდ ფილოსოფიურ სიდინჯეს ინარჩუნებს. მე-10 წრიდან კი ორ ერთმანეთთან შეკავშირებულ მორბენალს შორის მკაცრი საბილიკო ბრძოლა იწყება. თუმცა შორს არც კოვაჩი, ნორი, პაუერი, ლოურენსი და ჩერნიავსკი არიან. 4.000 მეტრი კვლავ მსოფლიო რეკორდია — 11.16,5 წუთი.

პირი ისეა მიწეპებული კუცზე, რომ იგი ერთხელ მის ქუსლსაც კი შეეხო. მე-15 წრიდან კუცი თავისუფლად გარბის, უმატებს ტემპს, პირი უარს ამბობს იერიშზე. მე-16 წრე იყო უფრო ნელი ვიდრე წინა. ახლა კუცი მეორე ბილიკის პარალელურ ხაზებს შუა მირბოდა. მას პირი ოდნავ უკან მისდევდა. პირს არ უნდოდა კუცისათვის დაენახვებინა საკუთარი ღონემიხდილობა, გაჭირვებით უძლებდა ამ სპორტულ „თვითმკვლელურ გამოწვევას". მთელი 10.000 მეტრის გარბენისას, იგი არცერთხელ არ გასულა წინ და აიძულა კუცი, რომ მასთან კატა-თაგვობანა ეთამაშა.

პირი დარჩა უკან და მე-17 წრეზე კიდევ ერთი „აფეთქება" გადაიტანა. მე ხარბად ვადევნებდი თვალს და უკვე ვიგრძენი, რომ საბოლოოდ პირი ვერ აღმოჩნდებოდა კუცის ღირსეული მეტოქე.

არათანაბარმა ტემპმა კუციც დაღალა. ეს იქიდან ჩანდა, რომ 8.000 მეტრს მან 23.02,8 წუთი მოანდომა და მსოფლიო რეკორდს გვემაა 15 წამით ჩამორჩა.

მე-20 წრეზე კუცი კიდევ უფრო დაბლა სცემს ტემპს, იგი წინ იტყუებს პირს და ისინი ერთმანეთის გვერდით გარბიან. წრის ბოლოს კუცი მივიდა იმ საერთო დასკვნამდე, რომ მისი ხანგრძლივად გაწეული შრომა საკმარის საფუძველს იძლეოდა და იგი ისევ გავარდა წინ. პირი გატეხილ იქნა სამუდამოდ. მისალმებათა შეძახილები აღმოხდათ მაყურებლებს, როცა დაინახეს კუცის ახალი „ნახტომი" და შეიგრძნეს, რომ გათავისუფლდნენ 20 წრიანი ბრძოლის დაძაბულობით მიყენებული ტკივილისაგან. პირი კი იცლებოდა ძალებისაგან, როგორც სათამაშო მატარებლის [illegible]. კუცმა, რომელსაც მხოლოდ ხუთი წრე დარჩა, მოიგო 5, 10, 20, 30 იარდი. იგი უკანმოუხედავად გრძნობდა თუ რა მანძილით ჩამოიტოვა მეტოქე. მე-21 წრის ბოლოში იგი პირს უკვე 100 მეტრით უსწრებდა. შემდეგ მორბოდნენ კოვაჩი და ლოურენსი. მიზნისაგან სამი წრის დაშორებით ხრისტკოვიაკი და ნორი მორბოდნენ პირის გასწვრივ. ეს დამცირება, რასაკვირველია, ინგლისელს უნდა გაეგო, რათა ბეჯითი ცდის შედეგად იგი კუცის ლანდს დასწეოდა. საჭირო იყო ძალების დაძაბვა სანამ დროა, ვიდრე სხვა ვინმე დააპირებდა ასეთ მოქმედებას. კუცს ახლა კოვაჩი მიჰყვებოდა. იგი პირდაპირ მოწყდა კოვაჩისაგან, ასე მიისწრაფვოდა წინ უკანმოუხედავად თან უძლურებისაგან იტანჯებოდა...

მაგრამ კუცი არ არის მანქანა. მისი სურვილი ისეთივე ურყევია, როგორც გამძლე მისი სხეული. მას აზროვნების ცივი უნარი გააჩნია. ყველა ეროვნების მაყურებლები დგებიან ფეხზე და ფინიშს მოახლოვებულ კუცს ესალმებიან. კოვაჩი მხოლოდ 50 მეტრით ჩამორჩა მას. კუცმა მოკრივესავით მაღლა აწეული მარჯვენა ხელით გაწყვიტა ფინიშის თოკი — დრო 28.45,5 მის მიერ დამყარებულ მსოფლიო რეკორდზე 15 წამით დაბალია.

სახეზე კუცი საგრძნობლად შეცვლილია, თითქოს სალებავი წაუსვესო. იგი იცინის და საპატიო წრის შემოვლისას მრავალჯერ თავს უკრავს მაყურებლებს. შემდეგ მოკლედ და ძნელად გასაგებად ტრადიციულ რუსულ სიტყვებს წარმოთქვამს: „მაყურებლები ჩემდამი მეგობრულად იყვნენ განწყობილნი და მე დიდად ვაფასებ მათს პატივისცემას, რომელთაც ტაში შემომწირეს".

პირველმა ხუთმა მორბენალმა: კუცმა, კოვაჩმა, ლოურენსმა, ხრისტკოვიაკმა და ნორმა მოხსნეს ზატოპეკის ყველა ოლიმპიური რეკორდი. პირი კი... იგი უკანასკნელ წრეზე ჩამორჩა ჩერნიავსკისაც, პაუერსაც და მერვე მივიდა. მან გააკეთა მოკლე ფორმალური კომენტარი: „ეს მარტო იმის ფაქტი არ იყო, რომ მან მე „დამამარცხა". ის, რაც კუცმა მოიმოქმედა, იყო ხელოვნება. მან „მომკლა" მე. მის მსგავს მორბენალს არსად და არასოდეს შევხვედრივარ".

კუცის გამარჯვებით რუსეთმა ოლიმპიურ თამაშებში კიდევ ერთი ოქროს მედალი მიიღო. მაგრამ ჩვენ, უმრავლესობამ, ამაში დავინახეთ არა შეუმჩნეველი ნაციონალური გამარჯვება, არამედ პიროვნული მიღწევა. კუცის რბენის შესაძლებლობა ისევე ცუდად ჰქონდათ წარმოდგენილი რუსებს, როგორც ჩვენ. მორბენლად არის იგი დაბადებული და არ არის შექმნილი რეცეპტებით. შეჯიბრების მსვლელობამ გვიჩვენა, რომ კუცი არის 10.000 მეტრზე რბენაში მსოფლიოს დიდი სტაიერი.

გერმანულიდან თარგმნა
ვ. მეიფარიანმა.

ინგლისელები ემზადებიან

ინგლისში საფეხბურთო ჩემპიონატი ცხარე ბრძოლებში მიმდინარეობს პირველი ლიგის 22 გუნდს შორის. ჯერჯერობით გათამაშებას ლიდერობენ ცნობილი კლუბები — „მგლები" (ქ. ვულვერჰემპტონის „ვულვერჰემპტონ უონდერერსი") და „მამვლები" (ქ. ბრომვიჩის „ვესტ-ბრომვიჩ ალბიონი"). ინგლისის 1956-57 წლის ჩემპიონი „მანჩესტერ იუნაიტედი" მეოთხე ადგილზეა. ჩემპიონატის შედეგებზე ბევრადაა დამოკიდებული, თუ ვინ შევა ინგლისის ნაკრებ გუნდში, რომელიც წლის ბოლოსათვის უნდა საბოლოოდ დადგენილ იქნას. „იდეალური გუნდის" შედგენის მიზნით ინგლისელები მრავალ საერთაშორისო შეხვედრას ჩაატარებენ.

ინგლისის ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა ვალტერ ვინტერბოტემმა განაცხადა, რომ მისი მთავარი ამოცანაა ერთმანეთთან შეათამაშოს გუნდის კანდიდატები. ნაკრების წევრობის ყველაზე შესაძლებელ კანდიდატად მას მიაჩნია ინგლისური ფეხბურთის ერთ-ერთი ვეტერანი, „ვულვერჰემპტონ უონდერერსის" ცენტრალური ნახევარმცველი რაიტი. ბილ რაიტი 34 წლისაა, მან უკვე 88-ჯერ ითამაშა ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში. ამჟამად ის ჩინებულ სპორტულ ფორმაშია. განსაკუთრებით დიდ იმედებს ამყარებს მწვრთნელი „მანჩესტერ იუნაიტედის" ახალგაზრდა ფეხბურთელებზე — 20 წლის მარცხენა ნახევარმცველ დუნკან ედვარდსზე და 25 წლის ცენტრალურ თავდამსხმელ თომას ტეილორზე. ტეილორი ამჟამად ალფრედო დი სტეფანოსთან (ესპანეთი) ერთად ევროპის უძლიერესი ცენტრალური თავდამსხმელია.

თუმცა „აბეზარა" სტენლი მეტიუზი გუნდის ხელმძღვანელობამ საბოლოოდ მოიშორა, მაგრამ ჯერჯერობით ვერაფერს გახდნენ მეორე „მოხუც" გარემარბთან თომას ფინლეისთან. თომას ფინლეის გაზეთები „უკვდავ" თავდამსხმელს უწოდებენ, რადგან „ვერ მოხერხდა" მისი შეცვლა რომელიმე ახალგაზრდა ფეხბურთელით. უელსის გუნდთან ფინლეი დიდი წარმატებით თამაშობდა და ბურთიც გაიტანა. ბრწყინვალედ ითამაშა მან საფრანგეთის გუნდთანაც. თომას ფინლეი ეროვნულ ნაკრებში მარცხენა გარემარბის „პოსტის" ერთ-ერთი ყველაზე უფრო შესაძლებელი კანდიდატია.

ინგლისის ფეხბურთის სპეციალისტები ოპტიმისტურად არიან განწყობილნი, მათ თავიანთი გუნდის წარმატების იმედი აქვთ მსოფლიო ჩემპიონატში. „მე ვფიქრობ, რომ ჩვენ ამჯერად რეალური შანსები გვაქვს მსოფლიო ჩემპიონატის ტიტულის მოპოვებისა", — განაცხადა ნაკრების მწვრთნელმა ვინტერბოტემმა.

საქართველოს ალპურ კლუბში

20 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე ალ. ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპურ კლუბში მთასვლელები ო. ხაზარაძე და შ. მირიანაშვილი წაიკითხავენ მოხსენებას თემაზე: „სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთასვლელთა სპორტული ალპინიადა კავკასიონზე 1957 წელს".

რედაქტორის მაგიერ
ზ. ჯაფარიძე.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, პ. მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-38-25.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.
უე 03598